ბჭე ბესე ყეჩჭე

× თემურ ალასანია ×

მეორე გამოცემა

2021

ჩემს შვილიშვილებს, ანა სოფია,
აღექსანდერ თიმ და მაიკელ დევიდ აღასანიებს
გასართობ საკითხავად.

თემურ აღასანია
გზაგასაყარზე

რედაქტორი: მარინა ჟღენტი
დიზაინერი: ნათია რუხაძე

საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა © 2021
77ა მ.კოსტავას ქუჩა, თბილისი, 0171, საქართველო
ტელ.: 2 55 22 22

The University of Georgia Publishing House © 2021
M. kostava Str. 77a, Tbilisi, 0171, Georgia
Tel.: 2 55 22 22

ISBN 978-9941-9707-5-7

სარჩევი

ავტორისაგან 4-15
წინასიტყვაობა 16-22
თავი I. რევოლუცია, დემოკრატია და მორალი 23-42
რევოლუცია – თეორია და პრაქტიკა 23-34
რევოლუცია და მორალი 35-42
თავი II. დემოკრატია და განვითარება 43-60
თავი III. მოსაზრებები არჩევნებზე 61-72
თავი IV. ახალი ფორმა – ძველი შინაარსი 73-103
თავი V. საჯარო დისკუსია ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოში: მსგავსება და სპეციფიკურობა 104-113
თავი VI. მოსაზრებები ზოგიერთ თანამედროვე ტენდენციაზე პოლიტიკურ თეორიაში 114-130
თავი VII. ბალანსი „მე“-სა და „ჩვენ“-ს შორის 131-136
თავი VIII. ინტელექტუალები: მეცნიერება და ხელოვნება 137-152
თავი IX. უფლებები და მოვალეობები: ისტორიული ჭრილი 153-158
თავი X. საჯარო პირები (შტრიხები ფსიქოლოგიური პორტრეტისათვის) 159-167
თავი XI. პრესტიჟი და მოვალეობა 168-181
თავი XII. პიროვნებები და მოვლენები 182-190
თავი XIII. სახელმწიფო, რელიგია, ტოლერანტულობა და პოლიტიკური კორექტულობის დოქტრინა 191-207
თავი XIV. ნაწყვეტები ეკონომიკური დღიურიდან 208-251
ბოლოსიტყვაობის მაგივრად 252-257
დანართი ორი საქმიანი განხილვის სახით 258-264
ბიბლიოგრაფია 265-277
საძიებელი 278-299

ავტორისაგან

ჩემი თაობის ცხოვრებაში ყველაზე გამორჩეული და განმსაზღვრელი ფაქტორი აღმოჩნდა მომავლის არაპროგნოზირებადი ხასიათი და განვითარებული ისტორიული მოვლენების სრული მოულოდნელობა. ან ვინ იფიქრებდა, რომ შევიდოდით ერთ, მდორე, უინტერესო და უფერული ცხოვრების მდინარეში, სადაც ყველაფერი წინასწარ იყო ცნობილი, ცხოვრების წესი ერთხელ და სამუდამოდ გაწერილი და წარმატების საზღვრები მეტ-ნაკლებად დადგენილი, – და გამოვიდოდით მეორე ნაპირზე, – სადაც ყველაფერი აღმოჩნდებოდა ახალი, უცნობი, მოლოდინით სავსე და შეუზღუდავი.

ქვეყნის ისტორია და ყოფა არ მიანიშნებდა იმ კატაკლიზმურ მოვლენებზე, რომლებმაც სამუდამოდ და ფუნდამენტურად შეცვალეს ჩვენი მისწრაფებები და, რაც მთავარია, დასაბუთებული პრეტენზიები ახალ აზროვნებაზე, ცხოვრების წესზე. ჩვენი წარმოდგენები ისეთ ცნებებზე, როგორიცაა: პატრიოტიზმი, საზოგადო ინტერესები და პირადი ბედნიერება – სრულიად ამოტრიალდა.

არც ჩემი ბავშვობა და არც თბილისში გატარებული სიყმაწვილე არ მიანიშნებდა იმაზე, რომ ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე მომიწევდა საკმაოდ ახლო დისტანციიდან დავკვირვებოდი ფუნდამენტური გარდაქმნების პროცესს და მათ მამოძრავებელ ძალებს. კიდევ უფრო საოცარი იყო ის, რომ, ხშირ შემთხვევაში, მე მონაწილეობას ვიღებდი ამ პროცესებში და მიწევდა გარდაქმნის აგენტებთან უშუალო თანამშრომლობა.

მაგრამ ეს მოხდა ბევრად უფრო გვიან. ჯერ წინ იყო მოსკოვის სახელმწიფო საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტში გატარებული უდარდელი წლები. „უდარდელი“ – ამ სიტყვის ყველაზე ფართო მნიშვნელობით.

არ ვიცი, რა მდგომარეობა სუფევდა ზუსტი მეცნიერებების შემსწავლელ ინსტიტუტებისა და უნივერსიტეტების შესაბამის ფაკულტეტებზე, მაგრამ 60-იან და 70-იან წლებში, საბჭოთა კავშირის საუნივერსიტეტო კამპუსებში, რომლებიც ორიენტირებული იყვნენ ჰუმანიტარული მეცნიერებების სწავლებაზე, დაისადგურა მარქსისტულმა კატეხიზმომ, აზროვნების პედანტიზმმა და იდეოლოგიურმა ორთოდოქსიამ.

ამას ემატებოდა საზოგადოების მიერ მკაცრად გაწერილი ყოფითი

ნორმები, რომლებიც არა მარტო მიუთითებდნენ ახალგაზრდობას „სწორ, საბჭოთა სტუდენტისაგან მოსალოდნელ, ცხოვრების წესრიგზე“, არამედ მკაცრად განსაზღვრავდნენ დაშვებული იდეოლოგიური „ფრონდის“ დინამიკურ ჩარჩოებს.

ამ მხრივ საერთაშორისო ინსტიტუტის ატმოსფერო ძირეულად განსხვავდებოდა სახელმწიფოში ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი საუნივერსიტეტო პრაქტიკისაგან. ეს იყო თავისებური „აგორა“ უჩვეულო საბჭოთა პირობებში; თავისუფალი აზრების ალებ-მიცემა, არაორთოდოქსული ლოგიკა, შეგნებულად ინერგებოდა და გარკვეულად წახალისებულიც იყო.

„რისკის“ ზღვარზე არსებული პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო და ესტეთიზმის დასავლური თეორიები, მათი ზედმიწევნით ღრმა ცოდნა, და, ხშირ შემთხვევაში, საჯარო დისკუსიებში, სემინარებსა და არაოფიციალურ პაექრობებში მათი დაცვა (და აპოლოგეტიკა), ბევრი ჩემი მეგობრის თავის გამოჩენის საშუალებად იქცა ჩვენს სტუდენტურ გარემოში და პროფესორ-მასწავლებლების ყურადღებაც მიიპყრეს.

რა საოცარიც არ უნდა იყოს მკითხველისათვის, ამ სტუდენტებს „კრიტიკულად მოაზროვნე პიროვნებების“ იარლიყი ჰქონდათ მინიჭებული და მათი „იდეოლოგიური მერყეობა“ დევნის ან გაკიცხვის საბაბი არასოდეს ყოფილა.

ლიბერალურ გარემოს, რომელიც 50-იანი წლებიდან მოყოლებული ჩამოყალიბდა ინსტიტუტში, ჰქონდა რამდენიმე თანაბარი ახსნა.

იყო დრო, როდესაც საბჭოთა დიპლომატებს, მათ საზღვარგარეთ გაგზავნის წინ, აძლევდნენ გრძელვადიან მითითებას, თავიანთ საქმიანობაში ეხელმძღვანელათ „კლასობრივი ინტუიციით და რევოლუციური თვითშეგნებით“. ეტყობა ორმოცდაათიანი წლების შუაში ამ პრაქტიკამ თავისი დრო ამოწურა.

დიპლომატიური კადრების მომზადებას საფუძვლად დაედო ბევრად უფრო პრაქტიკული თეზა. იმის გამო, რომ ინსტიტუტდამთავრებულების უმეტესობა ძალიან მაღე თავს ამოყოფდა საზღვარგარეთ, საჭირო იყო არა მათი შიშნარევი იზოლირება „დასავლეთის გამრყვნელი სინამდვილისაგან“, არამედ მათი ყოველმხრივი მომზადება ამ რეალობასთან ღირსეულად შესახვედრად.

გარდა ამისა, ზოგადად, ინსტიტუტის ლიბერალური გარემო იქმნებოდა და შენარჩუნებული იყო პროფესორ-მასწავლებლების ხარჯზე. ამ ხალხის დიდი ნაწილი ათწლეულების განმავლობაში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა საზღვარგარეთ, და, სხვათა შორის, არა მარტო

საბჭოთა საელჩოებსა და წარმომადგენლობებში. ბევრი მათგანი ამერიკის, კანადის, დასავლეთ ევროპის ქვეყნების საგანმანათლებლო სისტემის პროდუქტი იყო; ბევრმა მათგანმა გამოიარა ამ ქვეყნების ბიზნესის, სასოფლო და სამრეწველო დარგებში პრაქტიკული საქმიანობის სკოლები; და ბევრი თვითონ წლების განმავლობაში ასწავლიდა ისეთ პრესტიჟულ უნივერსიტეტებში, როგორიცაა სორბონა, ჰარვარდი, ოქსფორდი და ა.შ.

ამიტომაც არ არის გასაკვირი, რომ ინსტიტუტდამთავრებულთა სხვადასხვა თაობებმა საბჭოთა კავშირის და შემდგომ დამოუკიდებელი სახელმწიფოების პოლიტიკურ, ეკონომიკურ და დიპლომატიურ სფეროებს მისცა მრავალი გამოჩენილი მოღვაწე – პრეზიდენტების, პრემიერ-მინისტრების, საგარეო საქმეთა, ეკონომიკისა და ვაჭრობის მინისტრების, და რასაკვირველია, უამრავი ელჩის სახით.

მაგრამ დავუბრუნდეთ თბილისს. რამ განაპირობა ჩემთვის ასეთი უჩვეულო პროფესიის არჩევა? მით უმეტეს, რომ გვარში, და საკმაოდ მრავალფეროვან, განათლებულ წინაპრებში, არ გვყავდა არც ერთი დიპლომატი.

მეფეები გვყავდა. ჩემი დიდი ბებია, ოლღა ბაგრატიონი, სოლომონ II-ის შვილთაშვილი იყო.

სამღვდელოება. ჩემი დიდი ბაბუა, ეპისკოპოსი იოსებ წერეთელი, იმერეთის მეფის დავით II (მეფობდა 1784-1790 წლებში) შვილთაშვილის შვილი, ერის განათლებაზე, მის სულიერ უსყეობაზე ზრუნავდა.

გენერლები ბევრი. ბებიაჩემი, მარიამ იაშვილი, იმ გენერალი იაშვილების ჩამომავალი იყო, რომელთა პორტრეტებიც დღეს ამაყად ამშვენებს ახირებული პავლე პირველის გატჩინის სასახლეულ ცნობილ არქიტექტურულ გაუგებრობას. იმ იაშვილებისა, რომლებმაც რუსეთის იმპერიის მრავალსაუკუნოვანი უმწიკვლო სამსახური მძიმე გამოფხიზლებით და საეკლესიო ბუნტით დაამთავრეს.

მრეწველები. ჩემი დიდი ბაბუა, ჯიბო აბაშიძე, ჭიათურის მარგანეცის მაძიებელი კონცერნ „ჩემო“-ს ერთ-ერთი ფუძემდებელი და მსხვილი პაკეტის მფლობელი იყო.

ერთი ჩემი საინტერესო ამერიკული მოგონება დაკავშირებულია სწორედ ბაბუაჩემის ამერიკელ პარტნიორ, მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა დამწყებ ბიზნესმენ, ავერელ ჰარიმანთან. როდესაც საბჭოთა კავშირის ელჩს, ა. დობრინინს, მოვუყევი ბაბუაჩემის და ჰარიმანის თითქმის 60 წლის წინანდელი მეგობრობის შესახებ, მან ეს ისტორია ჩემი უზომოდ გაშლილი ფანტაზიის ნაყოფად ჩათვალა. მიუხედავად ამისა,

აღბათ ცნობისმოყვარეობის გამო, მაინც გადაწყვიტა თან წავეყვანე ჰარიმანის მიერ გამართულ წვეულებაზე. როდესაც ტრადიციული ხელის ჩამორთმევის და წარდგინების დროს მე არატრადიციულად დავაყოლე, რომ ჯიბო აბაშიძის შვილი-შვილი ვიყავი, ჰარიმანის რეაქციამ ჩემს მოღოდინს გადააჭარბა. ღობრინინი გაკვირვებული და, რატომღაც, ნასიამოვნები ჩანდა.

მწერლები. ბებიის ძმა – ქართული ლიტერატურის კლასიკოსი, გრიგოლ აბაშიძე, ჩემგან წარდგენას არ საჭიროებს. მასთან დაკავშირებითაც მახსენდება საინტერესო შემთხვევა.

1972 წელს, ინსტიტუტის მეხუთე კურსის სტუდენტი, 9 თვით საზღვარგარეთ, სენეგალში, პრაქტიკაზე გამაგზავნეს საბჭოთა საელჩოში. ამ წლებში სენეგალის პრეზიდენტი იყო ცნობილი ფილოსოფოსი და პოეტი, „ნეგრიტიულის“ თეორიის შემქმნელი და დაულალავი პრაქტიკოსი, ლეოპოლდ სედარ სენგორი. იგი ეკუთვნოდა აფრიკის განმათავისუფლებელ, მეოცნებე იდეალისტების დიდ ჯგუფს. ამ ჯგუფში შედიოდნენ კვამენ კრუმა, ნკომო კენიატა, იულიუს ნიერერი, ჰუფუა ბუანი, ჯავარა, სეკუ ტურე, უილ დადა, პატრის ლუმუმბა და სხვები, რომლებიც სათავეში ედგნენ თავიანთი ქვეყნების დამოუკიდებელ ერთეულებად ჩამოყალიბების პროცესებს და ზოგადად, აფრიკის კონტინენტის კოლონიური წარსულიდან განთავისუფლებას.

დაკარში ჩემ გამგზავრებამდე რამდენიმე თვით ადრე, ბ-ნი გრიშა, საფრანგეთში დასვენების დროს, ერვე ბაზენის სახლში მრავალდღიანი სტუმრობისას შეხვდა სენგორს. ეტყობა ისინი საუბარში რაღაცა ფორმით შეეხენ სენგორის პოეზიის ქართულ ენაზე თარგმნის შესაძლებლობას. ამიტომ გრიშამ სენეგალში სენგორის სახელზე დაწერილი პირადი ბარათი გამატანა. როდესაც ჩემი ახალგაზრდული აპლომბით და გამოუცდელობით ჩვენს ელჩს, დიმიტრი ნიკიფოროვს, გამოვუცხადე, რომ დავალების შესასრულებლად პრეზიდენტთან შეხვედრა მინდოდა, ელჩი ცოტა დაიბნა და არც კი მკითხა, რა დავალებაზე იყო საუბარი. მარტო ერთი შენიშნა ჩვეული რბილი მანერით:

– თემურ გიორგის-ძევ, პრაქტიკანტები, როგორც წესი, პრეზიდენტებს არ ხვდებიან.

გაკვეთილი შევითვისე და გადავწყვიტე პრაქტიკანტი აღარასოდეს ვყოფილიყავი.

მეცნიერები, და მერე რამდენი. ისტორიკოსი ალექსანდრე წერეთელი, ენათმეცნიერი გიორგი წერეთელი, იურისტები თინა და ნიკოლოზ წერეთლები, ხელოვნებათმცოდნე შურა წერეთელი, ისტორიკოსი გიული

აღასანია და სხვები.

ექიმები. ბებიის ძმა, ქირურგი გრიგორი (ჟორა) აბაშიძე. ბებია-ჩემი– თამარ აბაშიძე, რომელმაც მსოფლიოში წვრილფეხა საქონლის ბრუცელოზის საწინააღმდეგო პირველი შრატი გამოიგონა. დედაჩემი, მზია წერეთელი, საქართველოში პროფესიული დაავადებების გრძელვადიანი მკურნალობისა და სოციალური რეაბილიტაციის ფუძემდებელი და შესაბამისი პროფილის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე ათწლეულობის განმავლობაში.

პრეზიდენტი – და მერე როგორი! მიხეილ სააკაშვილი!

დაბოლოს, ნკვდ-ს და საბჭოთა გულაგების პატიმრების დიდი სია, რომელშიც ჩემი წინაპრები ღირსეული გვარებით და შთამბეჭდავი რაოდენობით არიან წარმოდგენილები აღასანიების, წერეთლების, იაშვილების, აბაშიძეების, ვარაზების და სხვათა სახით.

მაგრამ, როგორც ზევით მოგახსენეთ, არც ერთი დიპლომატი არ გვყოლია. თუმცა ჩემი წინაპრები, მიუხედავად მათი პროფესიისა, მუდამ იდგნენ ქართველი ხალხის სამსახურში. ეს მცნება ჩვენს ოჯახში, და უფრო ფართოდ აღებული – მთელ საგვარეულოში, – იყო და არის მოზრდილი თაობების სახელმძღვანელო პრინციპი და მომავალი თაობების აღსაზრდელი მანტრა.

დიპლომატიასაც, თუ მას დავიყვანთ თავის ძირითად, პირველად ფუნქციამდე, სწორედ ხალხის კეთილდღეობაზე, სახელმწიფოს გაძლიერებაზე მიმართული როლი აკისრია. ამ კუთხით დანახული ჩემი არჩევანი აღარ ჩანს ასე მოულოდნელი და შინაგან ლოგიკას მოკლებული.

აქვე უნდა გამოვტყდე, რომ ყოველთვის მინდოდა რაღაცა გამორჩეული გამეკეთებინა ცხოვრებაში, ან არაჩვეულებრივში მიმეღო მონაწილეობა. ისეთში, რაც იმწუთში გამომარჩევდა ჩემი თანატოლებისაგან. აღბათ, აქ იღებს სათავეს მთელი ჩემი ცხოვრების განმავლობაში გაუნელებელი სწრაფვა თვითგანვითარებისა და სრულყოფისაკენ. ბევრი კითხვა, მუსიკა, (ვიოლინოზე წარუმატებული დაკვრის სახით), ინგლისურის და ფრანგულის სწავლა, ფეხბურთი, და დიდობაში ჩოგბურთი, უკვე სოლიდურ ასაკში იტალიურის შესწავლა (აქ ტრიგერის როლი ოპერისადმი ჩემმა სიყვარულმა შეასრულა).

რაც შეეხება ჩემს შედარებით მოკრძალებულ მეცნიერულ მიღწევებს, ჩემი სადოქტორო დისერტაციის დაცვა, უფრო წინაპრების საქმიანობითა და ოჯახური ტრადიციებით იყო განპირობებული, ვიდრე მეცნიერებაში რაიმე ახლის თქმის დაუოკებელი სურვილით.

სამეცნიერო ხარისხი დამეხმარა იმაში, რომ მსოფლიოს თითქმის

50–ზე მეტ ქვეყანაში ცნობილი საუნივერსიტეტო აუდიტორიები ყოველგვარი ჭოჭმანის გარეშე მიხსნიდნენ კარებს ლექციების წასაკითხად და პრაქტიკულ-მეცნიერულ სემინარებში და სიმპოზიუმებში მონაწილეობისათვის.

ამ მხრივ, არც განვლილმა პროფესიულმა გზამ გამიწბილა იმედები. ვიყავი: საელჩოს თანამშრომელი სენეგალში; რეფერენტი და თანაშემწე კვლევის დარგში, ატაშე ვაშინგტონში; საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკის გრძელვადიანი დაგეგმარების ელიტური სააგენტოს ყველაზე ახალგაზრდა ატაშე და მესამე მდივანი; გენერალური საკონსულოს მეორე მდივანი მონრეალში, ვიცე-კონსული და შემდგომ კონსული; ჟენევის განიარაღების კონფერენციის პირველი მდივანი და მრჩეველი; სამინისტროს უფროსი მრჩეველი და, საბოლოოდ, გაეროს განიარაღების დეპარტამენტის, პოლიტიკური საკითხების დეპარტამენტის, გენერალური ასამბლეისა და უშიშროების საბჭოს დეპარტამენტის საშუალო დონის ბიუროკრატიდან წამყვან დირექტორამდე.

ასეთია კარიერული მიღწევების გარე გამოვლინება. მაგრამ ყველა ადამიანის განვლილ გზაზე არის გზის მაჩვენებლები, განვლილი მანძილის და ხარისხის აღმრიცხველი ნიშნები, რომლებსაც ჩვენს პირად მოგონებებში განსაკუთრებული ადგილი უკავიათ. ჩვეულებრივად, ასეთია მომენტები, როდესაც ჩვენი საქმიანობით შევეხეთ მარადისობას, ან ამ საქმიანობით კაცობრიობის წინაშე ნაწილობრივ მაინც შევასრულეთ განგების მიერ ჩვენზე დაკისრებული მოვალეობა.

და როდესაც ასეთ პერიოდებს ვიხსენებ, სხვადასხვა მიზეზთა გამო, თვალწინ მიდგას 70-იანი და 80-იანი წლები.

ჩემი, როგორც დიპლომატის, ფორმატიული პერიოდი, 1973-1978 წლებში ამერიკის შეერთებულ შტატებში მუშაობაზე მოდის. ეს იყო ნამდვილი დიპლომატიის (სრულიად შეგნებულად და ხაზგასმით ვამბობ ზოგადად დიპლომატიის და არა საბჭოთა დიპლომატიის) სამჭედლო – საბჭოთა კავშირის საელჩო ვაშინგტონში და გაეროს მუდმივი წარმომადგენლობა ნიუ იორკში. განა სად შეიძლებოდა ან მაშინ, ან ახლა ერთად მოეყარა თავი მსოფლიო დიპლომატიის ისეთ თანავარსკვლავედს, როგორებიც იყვნენ: ანატოლი დობრინინი, იაკოვ მალეკი, იული ვორონცოვი, ალექსანდრე ბესმერტნიხი, ოლეგ ტროიანოვსკი, ალექსანდრე ბელონოგოვი და სხვა. დიდი ბედნიერება მერგო წილად ამ ხალხთან თანამშრომლობით და ზოგთან პირადი მეგობრობით.

ამავე პერიოდს დაემთხვა ოჯახის მამად ჩემი ჩამოყალიბება და იურიდიულად აღიარება. ვაშინგტონში გატარებული ხუთ წელს ფუჭად არ ჩაუვლია. 1978 წელს მე და ქეთინო მოსკოვში ვბრუნდებოდით. თან გვახლდა ორი შვილი – გიორგი და ნიკა.

მეორე მოგონება დაკავშირებულია კანადაში გატარებულ ხუთ წელთან. საკმაოდ ხშირი, ერთი-ერთზე შეხვედრები მქონდა საბჭოთა ელჩთან კანადაში, ა. იაკოვლევთან. მაშინ მე ჯერ კიდევ არ მესმოდა, რისკენ იყო მიმართული მისი დაჟინებული მოთხოვნა – ფუნქციონალურად განმესაზღვრა შეტევითი და დაცვითი სამხედრო დოქტრინები. ბევრი მისი მოსაზრება დროის ყველაზე მწვავე საკითხებზე, გაბედული და წინ წადგმული ნაბიჯი იყო მომაკვდინებელი ორთოდოქსიის ფონზე. ჩემთან საუბარში ელჩი არაერთხელ მიუთითებდა იმაზე, რომ საბჭოთა სამხედრო დოქტრინის ხმამაღლა და ყველა ფორუმზე გაცხადებული თავდაცვითი ხასიათი, ქვეყნის შეიარაღებული ძალების სტრუქტურის და აღჭურვილობის ფონზე ისეთსავე შიშის შეგრძნებას, პერცეპციას ბადებდა ჩვენს მოწინააღმდეგეში და დანარჩენ სამყაროში, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების „დეტერანსის“ დოქტრინა. ანუ იგი ფაქტობრივად უარყოფდა საბჭოთა სამხედრო დოქტრინის დეკლარირებულ „თავდაცვით“ ხასიათს.

1984 წელს კანადაში ოფიციალური ვიზიტით ჩამოსულ მ. გორბაჩოვთან შეხვედრამ, მისმა დროისათვის ფართო, ახლებურად დანახულმა გლობალური უსაფრთხოების კონცეპციამ, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ამ ადამიანების არასტანდარტულმა, ახალმა აზროვნებამ, გზა გაუკაფა ჩემი თაობის დიპლომატებისა და მომავალი თაობის პოლიტიკური მოღვაწეების კომუნისტური იდეოლოგიიდან სწრაფ განთავისუფლებას და ჩვენი შემდგომი საქმიანობის ზოგადსაკაცობრიო კოორდინატთა ჩარჩოში მოქცევას.

ამ სტანდარტების პირველი მატერიალური გამოვლინება ჩემთვის მოხდა 1986 წელს. საბჭოთა ექსპერტი (და მისი მრჩეველი) ჩართეს გაეროს ექსპერტთა ჯგუფში, რომელსაც დაევალა სამხედრო სტრატეგიული დოქტრინების შესწავლა. თავიდანვე არავის ჰქონდა დიდი იდეა, რომ არსებულ სისტემათა დაპირისპირების პირობებში შესაძლებელი იქნებოდა ერთი შეჯამებული და კონსენსუსით აღიარებული მიდგომის ჩამოყალიბება. ამიტომ გადაწყდა, რომ ყველა ქვეყნის წარმომადგენელი, ანუ რვა დამოუკიდებელი ექსპერტი, დაწერდა თავს თავისი ქვეყნის დოქტრინის შესახებ.